



ქონების დაზღვევის

ხელშეკრულება/პირობები

**ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა
და მესამე პირების მიმართ სამოქალაქო
პასუხისმგებლობის დაზღვევა**

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი
პირობები

ქონების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები
ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა და მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები (თავსართი)

წინამდებარე დოკუმენტი - ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ; დაზღვევის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია დაზღვევის ხელშეკრულებაში/პირობებში და სადაზღვევო პოლისში.

დაზღვევის ხელშეკრულება, სადაზღვევო პოლისი და დამზღვევის განაცხადი დაზღვევის შესახებ წარმოადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას მხარეთა შორის. აღნიშნული დოკუმენტები გადაცემულია დამზღვევისთვის ელექტრონული სახით

1. **მზღვეველი** - სს “ნიუ ვიქნ დაზღვევა”;
2. **დაზღვევის ხელშეკრულების სახე** – ქონების (ბინების შიდა მოპირკეთების) დაზღვევა და მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
3. **დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები**: დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ქონება: საცხოვრებელი ბინის შიდა მოპირკეთება, შიდა საინჟინრო მოწყობილობები, ინვენტარი, საოჯახო ნივთები და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები (შიგთავსი), რომელიც განთავსებულია სადაზღვევო პოლისში და ქონების (ბინის რემონტის) დაზღვევის განაცხადში მითითებულ მისამართზე და განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N 1-ით დაზღვეული იქნება შემდეგი სადაზღვევო რისკებისგან (სადაზღვევო დაფარვები):

3.1. A ჯგუფი - ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, კვამლით დაზიანება:

- **ხანძარი** – ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლის გასაჩაღებლად და შესაწარმუნებლად განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს. ხანძარი ასევე ფარავს ელექტრო გაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლით წარმოქმნილი ცეცხლით მიყენებულ ზიანს.
- **აფეთქება** - საყოფაცხოვრებო საინჟინრო სისტემიდან აირის გამოჟონვით ან სისტემაში გაზის წნევის მომატების შედეგად.
- **მეხის დაცემა** - გიგანტური ელექტროლი განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი და რომელსაც მოყვა უშუალოდ დაზღვევის საგნის ფიზიკური დაზიანება-განადგურება.
- **კვამლით დაზიანება** - ხანძრის შედეგად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.

3.2. B ჯგუფი - სტიქიური მოვლენები

- **შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი** - ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 20 მ/წ აღემატება და იწვევს შენობა-ნაგებობათა დაზიანებას ან ნგრევას.
- **წვიმა** - ნალექის მოცულობა აღემატება 10 სმ/24სთ.
- **სეტყვა** - ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედეგად ყინულის სხვადასხვა ზომის სფერული ნაწილაკების, ან ნატეხებისაგან.
- **მიწისძვრა** - ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის რხევა, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიაღდა ზიანი და რომლის სიძლიერე მეტია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის შკალით.

3.3. C ჯგუფი - წყლით დაზიანება, დატბორვა – დაზღვეული ობიექტის დაზიანება საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობის, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების, მილების (მათ შორის ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მილების ჩათვლით) უეცრად და მოულოდნელად მწყობრიდან გამოსვლით.

3.4. D ჯგუფი - მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედება

- ქურდობა ან მისი მცდელობა - სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაზღვევა ფარავს დაზღვეულ შენობა-ნაგებობაში მხოლოდ ძალადობით და ძალისმიერი მეთოდებით შეღწევას, როდესაც შესვლის ადგილზე არსებობს ამგვარი, აშკარა ნიშნები და ამ ქმედების შემდეგ დაკარგულია ან დაზიანებულია დაზღვეული ობიექტები.
- ძარცვა - სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.
- ყაჩაღობა - თავდასხმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.
- ვანდალიზმი - სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება;

3.5. თუ პოლისში მითითებულია, დაფარვა შეიძლება გავრცელდეს იჯარით/ქირავნობით გაცემულ ქონებაზე

- დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების ზემოთ მითითებული რისკებისაგან დაზიანება მისი დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად.

შენიშვნა: წინამდებარე პირობით დაზღვევა არ მოიცავს და შესაბამისად არ იფარება თავად დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი.

3.6. კონკრეტულ რისკზე მითითება მოხდება სადაზღვევო პოლისში;

დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული დაზღვეული საცხოვრებელი ბინის არაგანზრახი, არასათანადო ან დაუდევარი ექსპლუატაციის / განკარგვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით მიყენებული მატერიალური ზიანი. წინამდებარე დაზღვევა ფარავს მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებულ ზიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ქონებრივი ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებში;
- ქონებრივ ზიანს ადგილი ჰქონდა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
- მზღვეველისთვის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ამასთან თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა სადაზღვევო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, დამზღვევს ეძლევა დამატებითი 24 საათიანი ვადა შესაბამისი შეტყობინებისგაკეთების მიზნით.

4. ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები - ფრანშიზა არის თანხა, რომელიც არ ანაზღაურდება მზღვეველის მიერ და აკლდება ზარალის თანხას;

5. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: მითითებულია პოლისში;
6. სადაზღვევო პერიოდი: მითითებულია პოლისში;
7. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობებისგან;
8. სადაზღვევო თანხის ოდენობა: მითითებულია პოლისში;
9. დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს:
 - სრული, ამომწურავი, სწორი და ნამდვილი ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის შესახებ;
 - ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის არსებობის შესახებ;
 - სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო რისკების შესაძლო გაზრდის შესახებ;
 - სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის და მასში მონაწილე პირების შესახებ;
 - ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის გასხვისების ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
 - ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის გამოყენების დანიშნულების ცვლილების შესახებ;
 - სხვა ინფორმაცია, რომლის მიწოდების ვალდებულებაც ეკისრება დამზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად;
10. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები: დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:
 - მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
 - სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტა;
 - მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების შედეგად სადაზღვევო თანხის (ლიმიტი) ამოწურვა;
 - დამზღვევმა განზრახ გამოიწვია რისკის ზრდა ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს რისკის ზრდის შესახებ;
 - მხარის ინიციატივა, თუ მეორე მხარე არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და, შეწყვეტის შესახებ გაფრთხილებისა და არანაკლებ ერთთვიანი დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას;
 - დაირღვა ხელშეკრულებით განსაზღვრული (პოლისში მითითებული) სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება;
 - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

დაზღვევის პოლისის გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მომსახურება სრულად გაწეულია) დამზღვევი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი თქვას დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რა შემთხვევაშიც მხარეები ვალდებული არიან (მათ შორის დამზღვევი ვალდებულია უკან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) შეწყვეტის მომენტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ერთმანეთს დაუბრუნონ ხელშეკრულების გაფორმების შესაბამისად მიღებული სიკეთე და ადაღგინონ პირვანდელი მდგომარეობა. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დამზღვევის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ოფიციალური წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (პოლისში მითითებული ელექტრონული მისამართიდან მზღვეველის cancelpolicy@nvi.ge ელექტრონულ ფოსტაზე) მოთხოვნის გამოგზავნით, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმის შესაბამისად.

11. დაზღვევის გამონაკლისი პირობები (შემთხვევები, რაც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით) დადგენილია ხელშეკრულების მე-4 მუხლში და დამატებითი პირობის მე-4 მუხლში; მზღვეველს შეუძლია ასევე უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე შემდეგ შემთხვევებში:

- დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის/თანხის მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გაცემისას შემთხვევაში;
- თუ დამზღვევი დაარღვევს სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების და ანაზღაურების მიღების მიზნით წარსადგენი განაცხადის ვადებს;
- დამზღვევი არ წარადგენს სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას და ასევე მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში სხვა დამატებით დოკუმენტს;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევს არ ექნება გადახდილი პირველი ან ერთჯერადი ან გრაფიკით განსაზღვრული სადაზღვევო პრემია;
- დამზღვევი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;
- დამზღვევი წარადგენს არასწორ/ყალბ დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით;
- დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას აიღებს მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- დამზღვევი დაიწყებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ქონების შეკეთებას მზღვეველთან შეთანხმების გარეშე;
- დამზღვევი არ მიაწოდებს მზღვეველს აუცილებელ ცნობებს/დოკუმენტებს სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებიდან და/ან არ შეუწყობს ხელს მზღვეველს ამ დოკუმენტაციის მოპოვებაში;

12. პრეტენზიის დაფიქსირების წესი

12.1. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ შესაბამისად, პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელზე ზრუნვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

ა) წერილობითი (მატერიალური) ფორმით მზღვეველის ყველა ოფისსა და მომსახურების ცენტრში;

ბ) ელექტრონული ფორმით:

მზღვეველის ელექტრონულ ფოსტაზე complaints@nvi.ge პრეტენზიის დაფიქსირებით;

მზღვეველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nvi.ge საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შევსებით.

გ) ზეპირსიტყვიერი ფორმით:

მზღვეველის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით.

12.2 ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილ პრეტენზიაზე პასუხის მიღების ვადა შეადგენს განაცხადის/უკმაყოფილების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეს. აღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საქმის წარმოების ჯამური ვადა არ აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს. დეტალური ინფორმაცია მზღვეველის ოფის(ებ)ის/მომსახურების ცენტრ(ებ)ის მისამართ(ებ)ის და პროცედურის თაობაზე იხილეთ მზღვეველის ვებ-გვერდზე www.nvi.ge ან დაუკავშირდით საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე - (+995 32) 2 501 501.

12.3. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2 555 155 ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე - mediacia@insurance.org.ge.

12.4 დამზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: (+995 32) 2 234 410, ვებ-გვერდის მისამართზე – www.insurance.gov.ge

12.5. თითოეული „მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გენერალური დირექტორი:

ირაკლი თუთარაშვილი





ქონების დაზღვევის

ხელშეკრულება/პირობები

ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა

ქონების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები

ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა

წინამდებარე პირობები, დამზღვევის განაცხადი და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ყველა დანართი/დამატებითი პირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის განაცხადის, სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე პირობების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **მზღვეველი** – სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402160022).

1.2. **დამზღვევი** – პირი, რომელმაც გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება, დაფიქსირებულია სადაზღვევო პოლისში, გააჩნია დაზღვევის ობიექტის შენარჩუნების ინტერესი და პასუხისმგებელია სადაზღვევო პრემიის გადახდაზე.

1.3. **დაზღვეული** – პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. **მოსარგებლე** – პირი, რომელიც ამ პირობების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

1.5. **მესაკუთრე** – დაზღვეული ქონების მესაკუთრე, რომელიც ამავე დროს შეიძლება იყოს დამზღვევი, დაზღვეული ან/და მოსარგებლე.

1.6. **სადაზღვევო პოლისი (შემდგომში – პოლისი)** – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი – მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ასახავს ხელშეკრულების ძირითად პირობებს და გადაეცემა დამზღვევს. სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.7. **დაზღვევის ხელშეკრულება (შემდგომში “ხელშეკრულება”)** – წინამდებარე პირობების, პოლისის, ქონების დაზღვევის განაცხადის და დანართ(ებ)ის (ასეთის არსებობისას) ერთობლიობა.

1.8. **შიგთავსი** – ინვენტარი, საოჯახო ნივთები და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები.

1.9. **დაზღვევის პერიოდი** – პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება დაზღვევა.

1.10. **სადაზღვევო თანხა** – პოლისში მითითებული თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს ვალდებულებას სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას აანაზღაუროს ზარალი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.11. **სადაზღვევო პრემია** – დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

1.12. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

1.13. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

1.14. **სადაზღვევო შემთხვევა** – სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო რისკის შედეგად, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი ზიანი, რომელიც წარმოშობს მზღვეველის პასუხისმგებლობას გადაუხადოს დამზღვევს/მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება.

1.15. **სადაზღვევო რისკი** – მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა და რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე პირობებით.

1.16. **ქონების დაზღვევის განაცხადი (მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით)** – დამზღვევის მიერ შევსებული და ხელმოწერილი/დადასტურებული დაზღვევის მოთხოვნა. განაცხადი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების განუყოფელ ნაწილს.

1.17. **ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების განაცხადი** – დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მზღვეველისათვის გაკეთებული წერილობითი შეტყობინება ზიანის დადგომისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

1.18. დარეგულირების აქტი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარებას და წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

1.19. დაზღვევის მოქმედების ტერიტორია – წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის დაზღვევის ტერიტორიად განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს ტერიტორია, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. ქონება ჩაითვლება დაზღვეულად მხოლოდ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია პოლისში.

1.20. სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს/დაზღვეულს/მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებით და პირობებით.

1.21. ფრანშიზა – პოლისში მითითებული თანხა, რომელიც მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება. წინამდებარე პირობების მიხედვით ფრანშიზა არის უპირობო, ყოველი ზარალი ანაზღაურდება პოლისში მითითებული ფრანშიზის თანხის გამოკლებით თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე.

2. დაზღვევის ობიექტი

2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ქონების: საცხოვრებელი ბინის შიდა მოპირკეთება, შიდა საინჟინრო მოწყობილობები, ინვენტარი, საოჯახო ნივთები და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები (შიგთავსი), რომელიც განთავსებულია სადაზღვევო პოლისში და ქონების (ბინის რემონტის) დაზღვევის განაცხადში მითითებულ მისამართზე და განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი N 1-ით.

2.2. დაზღვევას არ ექვემდებარება:

- დაზღვევის ობიექტი, განთავსებული ისეთ შენობა-ნაგებობებში, რომელიც აშენებულია 1950 წლამდე;
- ბინის რემონტი და შიდა მოპირკეთება მიწის ზედაპირიდან 40 სმ სიმაღლემდე ბინებში;
- საცხოვრებელი და სააგარაკე სახლები; ბინები/სახლები იტალიურ ეზოში;
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილები - მზიდი კონსტრუქციები, კედლები, ტიხრები, სახურავი, აივნები (გარდა დახურული აივნებისა და ვერანდებისა); და გარე მოპირკეთება; შენობის გარე ფასადზე დამონტაჟებული / განთავსებული ქონება (მათ შორის ტენტები, საწრეტი მიწები);
- გარე საინჟინრო მოწყობილობები - სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები, საკომუნიკაციო საშუალებები; ბოილერები; საქვაბები; სატელევიზიო, სატელეფონო და კომპიუტერის კაბელები; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დაცვის სიგნალიზაცია; წყლის, გარე საკანალიზაციო, სავენტილაციო, გათბობის სისტემები (გარდა კონსტრუქციულ ელემენტებზე მუდმივად მიმაგრებული დამზღვევის/დაზღვეულის კუთვნილი საქვაბე და გამაგრებული სისტემებისა) გაზგაყვანილობა;
- ანტიკვარული ავეჯიან საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ასაკი აღემატება 8 წელს;
- ნაღდი ფული, მონეტები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- სხვა ნებისმიერი ქონება, რომელიც არ წარმოადგენს დაზღვევის ობიექტს წინამდებარე პირობების მიხედვით ან არ არის მითითებული პოლისში ან მის დანართში 1-ში.

3. დაფარული რისკები:

3.1. A ჯგუფი - ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, კვამლით დაზიანება:

- ხანძარი – ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლის გასაჩაღებლად და შესანარჩუნებლად განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს. ხანძარი ასევე ფარავს ელექტრო გაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლით წარმოქმნილი ცეცხლით მიყენებულ ზიანს.
- აფეთქება - საყოფაცხოვრებო საინჟინრო სისტემიდან აირის გამოჟონვით ან სისტემაში გაზის წნევის მომატების შედეგად.
- მეხის დაცემა - გიგანტური ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი და რომელსაც მოყვება უშუალოდ დაზღვევის საგნის ფიზიკური დაზიანება-განადგურება.
- კვამლით დაზიანება - ხანძრის შედეგად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.

3.2. B ჯგუფი - სტიქიური მოვლენები

- შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი - ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 20 მ/წ აღემატება და იწვევს შენობა-ნაგებობათა დაზიანებას ან ნგრევას.
- წვიმა - ნალექის მოცულობა აღემატება 10 სმ/24სთ.
- სეტყვა - ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედეგად ყინულის სხვადასხვა ზომის სფერული ნაწილაკების, ან ნატეხებისაგან.
- მიწისძვრა - ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის რხევა, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიაღება ზიანი და რომლის სიძლიერე მეტია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის შკალით.

3.3. C ჯგუფი - წყლით დაზიანება, დატბორვა – დაზღვეული ობიექტის დაზიანება საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობის, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების, მიწების (მათ შორის ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მიწების ჩათვლით) უეცრად და მოულოდნელად მწყობრიდან გამოსვლით.

3.4. D ჯგუფი - მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედება

- ქურდობა ან მისი მცდელობა - სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაზღვევა ფარავს დაზღვეულ შენობა-ნაგებობაში მხოლოდ ძალადობით და ძალისმიერი მეთოდებით შეღწევას, როდესაც შესვლის ადგილზე არსებობს ამგვარი, აშკარა ნიშნები და ამ ქმედების შემდეგ დაკარგულია ან დაზიანებულია დაზღვეული ობიექტები.
- ძარცვა - სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.
- ყაჩაღობა - თავდასხმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.
- ვანდალიზმი - სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება;

3.5. თუ პოლისში მითითებულია, დაფარვა შეიძლება გავრცელდეს იჯარით/ქირავნობით გაცემულ ქონებაზე

- დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების ზემოთ მითითებული რისკებისაგან დაზიანება მისი დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად.

შენიშვნა: წინამდებარე პირობით დაზღვევა არ მოიცავს და შესაბამისად არ იფარება თავად დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი.

3.6. კონკრეტულ რისკზე მითითება მოხდება სადაზღვევო პოლისში;

დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული დაზღვეული საცხოვრებელი ბინის არაგანზრახი, არასათანადო ან დაუდევარი ექსპლუატაციის / განკარგვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით მიყენებული მატერიალური ზიანი. წინამდებარე დაზღვევა ფარავს მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებულ ზიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ქონებრივი ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებში;
- ქონებრივ ზიანს ადგილი ჰქონდა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
- მზღვევლისთვის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ამასთან თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა სადაზღვევო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, დამზღვევს ეძლევა დამატებითი 24 საათიანი ვადა შესაბამისი შეტყობინებისგაკეთების მიზნით.

4. გამონაკლისები

4.1. სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება დაზღვეული ქონების ზიანი (ზარალი) ან განადგურება დაკავშირებული შემდეგ გარემოებებთან:

4.1.1. ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა საომარი მდგომარეობა), სამოქალაქო მღელვარება, ამბოხები, შეიარაღებული კონფლიქტი, გაფიცვა, სამხედრო გადატრიალება, რევოლუცია, ტერორისტული აქტი, პოლიტიკური მოტივით მოქმედი ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებები; სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა;

4.1.2. ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, ნაციონალიზაცია, დაპატიმრება/დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება, ჩამორთმევა ან დაზიანება;

4.1.3. გარემოს დაბინძურება, იონიზირებული რადიაცია, თერმობირთვული საწვავის ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული ზიანი, რადიოაქტიური დაბინძურება;

4.1.4. ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვევის ტერიტორია აღიარებული იქნა შესაძლო სტიქიური უბედურების ზონად;

4.1.5. დამზღვევის/მოსარგებლის/მოიჯარის/დამქირავებლის, მათი ოჯახის წევრის, პირველი / მეორე რიგის მემკვიდრეთა წრით განსაზღვრული პირის (ნათესავის), დაზღვეულ ფართში ფაქტიურად მცხოვრები პირის, მასთან დროებით დასაქმებული ან დაზღვეულ ქონებაში სადაზღვევო ინტერესის მქონე პირის მიერ ან მისი/მათი ნებისმიერი ქმედების (მათ შორის განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების) შედეგად გამოწვეული ზარალი;

4.1.6. დამზღვევის მიერ მზღვევლისათვის დასაზღვევი ქონების შესახებ მცდარი/არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

4.1.7. ნებისმიერი ზარალი, გამოწვეული ქონების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით შეთვალყურეობის გარეშე დატოვებით

4.1.8. ზიანი, რომელიც მიადგა ღია ცის ქვეშ დატოვებულ ქონებას ან ზიანის დადგომის მომენტისათვის უკვე დაზიანებულ და/ან დაშლილ შენობაში მყოფ ინვენტარს, საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთებს;

- 4.1.9. ღპობა, ამორტიზაცია, ცვეთა, თვითაღება, კოროზია, ეროზია, დანესტიანება, ნალექების დაგროვება, დაჟანგვა ან დაზღვეული ქონების სხვა ბუნებრივი თვისებები;
- 4.1.10. შინაური ცხოველების/ფრინველების, ქვეწარმავლების, მწერების, მღრღნელების ან სხვა მავნებლების მიერ მიყენებული ზიანი;
- 4.1.11. მდინარის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიის, ასევე გრუნტის ხელოვნური დაწევა ან მოძრაობა;
- 4.1.12. დარღვეული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების (მზიდი კონსტრუქციები, სახურავი, კედლები, ტიხრები, აივნები) მთლიანობა;
- სადაზღვევო პერიოდში გამოვლენილი დაზღვეული შენობის მშენებლობის, საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტი
- 4.1.13. სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე არსებული მოვლენით გამოწვეული ზიანი ან არსებული დაზიანება;
- 4.1.14. სადაზღვევო პერიოდის ძალაში შესვლამდე არსებული შემთხვევები და ასევე სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე დაფიქსირებული მოვლენით გამოწვეული ზიანი (რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისთვის) მათ შორის, დაზიანებული ქონების გაუმჯობესების ხარჯები;
- 4.1.15. დაზღვეული ქონების გასხვისებისას იმ შემთხვევაში, თუ გასხვისების შესახებ მზღვეველს არ მიუღია ამის შესახებ შეტყობინება გასხვისებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
- 4.1.16. ნებისმიერი არაპირდაპირი ზიანი გამოწვეული დაზღვეული რისკების შედეგად;
- 4.1.17. ზიანი, რომელიც გამოწვეულია პოლისით გათვალისწინებული რისკების გარდა სხვა რისკებით;
- 4.1.18. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 4.1.19. საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლის დეფექტები ან მომწოდებლის მიერ გაცემული გარანტიით დაფარული ხარჯები;

4.2. თუ ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც წარმოადგენს გამონაკლისს, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება დამზღვევს.

5. სადაზღვევო თანხა

- 5.1. სადაზღვევო თანხა, ლიმიტი წარმოადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ მოცულობას და იგი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 5.2. იმ შემთხვევაში თუ, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დამზღვევი/დაზღვეული იძულებული იქნება დატოვოს დაზღვეული საცხოვრებელი ფართი და იქირაოს ბინა, მზღვეველი ანაზღაურებს ბინის ქირის ხარჯს არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარს დღეში, დაზღვეულ ბინაში საცხოვრებლად ვარგისი პირობების აღდგენამდე, თუმცა არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღისა. დამზღვევის/დაზღვეულის მიერ დაზღვეული საცხოვრებელი ფართის დატოვების აუცილებლობა დადასტურებულ უნდა იქნას მზღვეველის წარმომადგენლის მიერ, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე გაეცნობა არსებულ მდგომარეობას; მზღვეველის დასტურის გარეშე საცხოვრებელი ფართის დატოვების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ არ მოხდება ბინის ქირის ხარჯის ანაზღაურება. დაქირავებული ბინის ხარჯის ანაზღაურება წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურებას და აკლდება სადაზღვევო ლიმიტის თანხას.
- 5.3. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი ანაზღაურებული თანხით.
- 5.4. სადაზღვევო ანაზღაურების მიღების და ქონების აღდგენის (შეკეთების) შემდეგ, მზღვეველის თანხმობის შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე აღადგინოს საწყისი სადაზღვევო თანხა.

6. ფრანშიზა

- 6.1. ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის დამოუკიდებლად და მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 6.2. მზღვეველის მიერ ყოველი ზარალი ანაზღაურდება ფრანშიზის თანხის გამოკლებით.

7. სადაზღვევო პრემია

- 7.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 7.2. დამზღვევი მზღვეველს სადაზღვევო პრემიას უხდის პოლისში მითითებულ ვადებში და ოდენობით, ხელშეკრულებაში მითითებულ მზღვეველის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, მზღვეველის მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე. ამასთანავე, ინვოისის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს სადაზღვევო პრემიის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი.
- 7.3. დამზღვევის მიერ პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე, ასევე გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს დამზღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 7.4. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ლარში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლის(ებ)ში პრემიის ოდენობა მითითებულია უცხოურ ვალუტაში გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით;
- 7.5. თუ პრემიის გადახდის დღე ემთხვევა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ უქმე დღეს, შესაბამისი დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე;
- 7.6. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკის გაზრდის შემთხვევაში სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს.
- 7.7. ხელშეკრულების/პოლის(ებ)ის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამზღვევს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.
- 7.8. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი დაარღვევს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას, მას შეუჩერდება სადაზღვევო მომსახურება მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველი აუქმებს ხელშეკრულებას ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება დავალიანების გადახდის დღიდან 24 (ოცდაოთხი) საათის გასვლის შემდგომ; სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

8. დაზღვევის ტერიტორია

- 8.1. დაზღვევა ძალაშია მხოლოდ პოლისში მითითებულ მისამართზე, პოლისით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში.

9. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი, მისი ძალაში შესვლისა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

- 9.1. დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე/ დადასტურებისთანავე და მოქმედებს პოლისით განსაზღვრული ვადით.
- 9.2. დაზღვევის მოქმედების ვადა იწყება პოლისში განსაზღვრული დაზღვევის პერიოდის დასაწყისად განსაზღვრული დღის 24:00 (ოცდაოთხი) საათზე და მოქმედებს პოლისში განსაზღვრული დაზღვევის პერიოდის დასასრულად განსაზღვრული დღის 24:00 (ოცდაოთხი) საათზე, ამასთან დაზღვევა ძალაში შედის მხოლოდ დამზღვევის მიერ ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის ან განვადების შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის გადახდის შემდეგ.

9.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- 9.3.1. სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტა;
- 9.3.2. მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების შედეგად სადაზღვევო თანხის (ლიმიტი) ამოწურვა;
- 9.3.3. დამზღვევმა განზრახ გამოიწვია რისკის ზრდა ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს რისკის ზრდის

შესახებ;

9.3.4. მხარის ინიციატივა დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე, თუ მეორე მხარე არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

9.3.5. დაირღვა ხელშეკრულებით განსაზღვრული (პოლისში მითითებული) სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება;

9.3.6. ერთ-ერთი მხარის ინიციატივა, შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისთვის 10 კალენდარული დღით ადრე გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე;

9.3.7. საქართველოს კანონმდებლობით გათვლისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

9.4.1. თუ დაზღვევის შეწყვეტის ინიციატორი მხარე არის დამზღვევი (ასევე მზღვეველი, თუ აღნიშნული განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით (მათ შორის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა)) შეწყვეტის შემთხვევაში ის ვალდებულია შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს:

9.4.1.1. გადაიხადოს სრული სადაზღვევო პრემია თუ დაზღვევის მოქმედების პერიოდში ანაზღაურებული აქვს თუნდაც ერთი ზარალი;

9.4.1.2. მხოლოდ გამომუშავებული პრემია და გამომუშავებული პრემიის 30% თუ დაზღვევის მოქმედების პერიოდში ანაზღაურებული არ აქვს ზარალ(ებ)ი;

9.4.2. თუ დაზღვევის შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით), დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გამომუშავებული პრემია შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

9.4.3. დაზღვევის პოლისის გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მომსახურება სრულად გაწეულია) დამზღვევი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი თქვას დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რა შემთხვევაშიც მხარეები ვალდებული არიან (მათ შორის დამზღვევი ვალდებულია უკან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) შეწყვეტის მომენტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ერთმანეთს დაუბრუნონ ხელშეკრულების გაფორმების შესაბამისად მიღებული სიკეთე და აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დამზღვევის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ოფიციალური წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (პოლისში მითითებული ელექტრონული მისამართიდან მზღვეველის cancelpolicy@nvi.ge ელექტრონულ ფოსტაზე) მოთხოვნის გამოგზავნით, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმის შესაბამისად.

10. ორმაგი დაზღვევა

10.1. დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს ორმაგი დაზღვევის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა.

10.2. თუ ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი გადაიხდის ზარალს პროპორციულად, მზღვეველის სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

11. რისკის ხარისხის ცვლილება

11.1. დამზღვევი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე, განაცხადის ფორმით მიაწოდოს მზღვეველს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დასაზღვევი ქონების შესახებ. გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ქონდეს რისკის შეფასებისათვის, ასევე, ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა დადებული ან დასაღები დაზღვევის/სხვა ხელშეკრულება; წარმოუდგინოს მზღვეველს ნებისმიერი სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისთვის.

11.2. დაზღვევის მოქმედების განმავლობაში დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ისეთი გარემოებების დადგომის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის ხარისხზე. მათ შორის მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია მოწოდებულ დოკუმენტაციაში/მონაცემებში/ინფორმაციაში ცვლილებების შესახებ, ცვლილებების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილება ზრდის რისკის ზომას ან ხარისხს, მზღვეველს აქვს უფლება მოსთხოვოს დამზღვევს დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა ან ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება რისკის გაზრდისთანავე.

11.4. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია მზღვეველისთვის

შეუტყობინებელი გარემოებების შედეგად.

12. სუბროგაციის უფლება:

12.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ “მზღვეველზე” ავტომატურად გადადის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც “დამზღვევეს”/“მოსარგებლეს” გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

12.2. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს მზღვეველის მიერ სუბროგაციის უფლების რეალიზება.

12.3. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

13. დაზღვევა მესამე პირის სასარგებლოდ

13.1. თუკი დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის შეძენა ხდება სხვა პირის, მოსარგებლის სასარგებლოდ, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს და დამზღვევი ვალდებულია, წარმოადგინოს დაზღვეული ქონებისადმი მისი ინტერესის განმსაზღვრელი დოკუმენტი (მინდობილობა)

14. მხარეთა ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დროს

14.1. დამზღვევი ვალდებულია შემთხვევის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, დაუკავშირდეს მზღვეველს 24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე 032 2 501 501 და შეატყობინოს შემთხვევის ან ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ რამაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა და მიაწოდოს სრული ინფორმაცია; ასევე, ზუსტად დაიცვას მზღვეველის რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით.

14.2. შემთხვევის აღმოჩენისთანავე, დამზღვევმა უნდა შეატყობინოს:

აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;

ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში - დასტურდებოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (მსს) მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი.

წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის ან სხვა შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას;

14.3. დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, დაზღვეული ქონების გადასარჩენად, ზიანის შესამცირებლად;

14.4. დამზღვევი ვალდებულია შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა შემთხვევის შემდგომ; თუ აღნიშნული ქმედება მიმართული არ არის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ;

14.5. დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი სახით ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების განაცხადი, შემთხვევის შესახებ ინფორმაციის ცხელ ხაზზე განცხადებიდან არაუგვიანეს 72 საათის განმავლობაში. განაცხადში მითითებული უნდა იყოს წარმომობილი ზარალის ყველა გარემოება და მიზეზი, დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

14.6. დამზღვევი ვალდებულია, შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარუდგინოს მზღვეველს ზიანის გასაზღვრისათვის და ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა.

14.7. დამზღვევის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:

საკუთრების უფლების, სარგებლობის უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი განადგურებულ, ან დაზიანებულ ქონებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტი;

დაზიანებული ქონების აღწერილობა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დღის მდგომარეობით.

კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც

დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტი და მიზეზები:

აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემისას - სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოების დასკვნა;

წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელქტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის დროს - შესაბამისი კომპეტენტური უწყების დასკვნა;

სტიქიური მოვლენებისას - გარემოს ეროვნული სააგენტოს ან მისი უფლებამონაცვლე უწყების მიერ გაცემული ცნობა;

ზარალის გამომწვევი გარემოებების გამოძიებაში სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას ცნობა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიდან სამართლებრივი ძიების მიმდინარეობის შესახებ;

კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან შემთხვევის დადგომის ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

14.8. მზღვეველი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა ზიანის გამომწვევ მიზეზთა დადგენასა და ზიანის შეფასებაში, ასევე მოითხოვოს დამზღვევის/მოსარგებლის ხელშეწყობა, დაასურათოს / დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი და დაზიანებული/განადგურებული ქონება, გამოიძიოს მიზეზები და დაადგინოს ზარალის სიდიდე.

14.9. დამზღვევი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ზიანის გამომწვევ მიზეზთა დადგენასა და ზიანის შეფასებაში.

14.10. დამზღვევი ვალდებულია ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მზღვეველის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, მზღვეველის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტისა და შემფასებლის მიერ დაზღვეული ქონების დათვალიერება.

15. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები:

15.1. ამ პირობებით, ზარალად ითვლება მატერიალური ქონებრივი ზიანი, რომელიც მიაღწა დაზღვეულ ქონებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო.

15.2. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა შეესაბამება დაზიანებული/განადგურებული ქონების რემონტის აღდგენით ღირებულებას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებულ ფასებზე დაყრდნობით, ფრანშიზის გამოკლებით. ინვენტარი, საოჯახო ნივთებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანების შემთხვევაში მზღვეველი დაეყრდნობა წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N 1 მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, თუმცა ანაზღაურებას არ დაექვემდებარება დაზიანებული საგნების საბაზრო ღირებულებაზე და პოლისში მითითებულ ლიმიტზე მეტი თანხა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის.

დამზღვევის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე დანართში N 1-ში მითითებული ჩამონათვალი და ლიმიტები გაიზარდოს/შეიცვალოს.

15.3. ზარალის თანხის დადგენა ხდება მზღვეველის მიერ, დაზღვეული ობიექტის დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე (პოლიციის, სახანძრო დეპარტამენტის, საავარიო სამსახურების, გარემოს ეროვნული სააგენტოს, ექსპერტების, საგამოძიებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა.).

15.4. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ზარალის ოდენობის დადგენა შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ამ შემთხვევაში, ექსპერტის მომსახურების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს მისი მომწვევი მხარე.

15.5. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საფუძველია:

15.5.1. ქონების განადგურების შემთხვევაში – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის მისი აღდგენითი/შენაცვლებითი ღირებულება, ფრანშიზის, მასალების ცვეთის, დარჩენილი დეტალების ღირებულების და ტექნიკური მდგომარეობის და სპეციფიკის გათვალისწინებით, არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა (ლიმიტისა).

15.5.2. ქონების დაზიანების შემთხვევაში - ქონების დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, ფრანშიზის გათვალისწინებით, არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა (ლიმიტისა), რაც გულისხმობს:

ა) შეკეთების/აღდგენისათვის აუცილებელი მასალების რეალურ ღირებულებას;

ბ) შესაკეთებლად/აღსადგენად გასაწევი სამუშაოების ხარჯებს;

გ) სხვა ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე დასაბრუნებლად

15.6 მზღვეველი უფლებამოსილია მის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხა შეამციროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დარჩენილი გამოუმუშავებელი პრემიის ოდენობით (პოლისით გათვალისწინებული ჯამური პრემიის გადაუხდელი ნაწილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15.7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია მზღვეველის მიერ შედგენილი ზარალის ანაზღაურების აქტი. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველი იღებს ვალდებულებას შეადგინოს ზარალის

ანაზღაურების აქტი ან გასცეს მოტივირებული წერილობითი უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

15.8 სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება მზღვეველის და დამზღვევის მიერ ზარალის ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

15.9. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო თანხა, ლიმიტი მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის შესაბამისად.

15.10. ნებისმიერ შემთხვევაში, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარ ყველა სადაზღვევო შემთხვევაზე სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში ან იმ მომენტისთვის მოცემული ლიმიტის ფარგლებში;

15.11. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, დამზღვევს/მოსარგებლეს მიყენებული ზარალი აუნაზღაურდა ამ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია დაუბრუნოს მზღვეველს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება, პასუხისმგებელი პირისგან ზარალის ანაზღაურების დღიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.

15.12. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე ადრეულია სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერ ძალაში შესვლამდე.

15.13. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციის, ქონების აღდგენის/ჩანაცვლების შემდეგ დამზღვევი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქონების განმეორებითი დაზიანების შემთხვევაში ზარალი არ ანაზღაურდება. შეტყობინების მიღების შემდეგ, მზღვეველი უფლებამოსილია შეამოწმოს შეკეთებული ქონების მდგომარეობა. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი არ ასრულებს წინამდებარე მუხლის პირობებს მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

16. ფორს-მაჟორი

16.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, ეპიდემია, პანდემია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადოს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების) შემთხვევაში.

16.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება მხარე(ებ)ის ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

17. დავის გადაჭრა, ზიანის ანაზღაურება

17.1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით.

17.2. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ შესაბამისად, პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელზე ზრუნვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

ა) წერილობითი (მატერიალური) ფორმით მზღვეველის ყველა ოფისსა და მომსახურების ცენტრში;

ბ) ელექტრონული ფორმით:

მზღვეველის ელექტრონულ ფოსტაზე complaints@nvi.ge პრეტენზიის დაფიქსირებით;

მზღვეველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nvi.ge საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შესვლით.

გ) ზეპირსიტყვიერი ფორმით:

მზღვეველის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით.

17.3. ნებისმიერი ფორმით წარმოდგენილ პრეტენზიაზე პასუხის მიღების ვადა შეადგენს განაცხადის/უკმაყოფილების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეს. აღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილების

მიუღებლობის შემთხვევაში, საქმის წარმოების ჯამური ვადა არ აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს. დეტალური ინფორმაცია მზღვეველის ოფის(ებ)ის/მომსახურების ცენტრ(ებ)ის მისამართ(ებ)ის და პროცედურის თაობაზე იხილეთ მზღვეველის ვებ-გვერდზე www.nvi.ge ან დაუკავშირდით საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე - (+995 32) 2 501 501.

17.4. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2 555 155 ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე - mediacia@insurance.org.ge.

17.5. დაზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: (+995 32) 2 234 410, ვებ-გვერდის მისამართზე – www.insurance.gov.ge

17.6. თითოეული „მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. კონფიდენციალობა

18.1. მხარეთა მიერ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ასევე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული ნებისმიერი კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისა და გაცნობისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

18.2. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის და/ან მოქმედების ვადის დასრულების შემდგომაც.

29 სექტემბერი, 2023 წელი

მზღვეველი:

სს „ნიუ ვიქსი დაზღვევა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 402160022

მის: ქ. თბილისი, ე. მიქელაძის 1ბ

ტელ: + 995 32 2 501 501

ელ. ფოსტა: info@nvi.ge


საბანკო რეკვიზიტები:

სს „თიბისი ბანკი“

ა/ა GE64TB7459336020100004

გენერალური დირექტორი:

/ირაკლი თუთარაშვილი/



ქონების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები N PROP-NVI-R-20/08-20 -ის დანართი N 1


ინვენტარი, საოჯახო ნივთები და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების ჩამონათვალი

დაზღვევის ობიექტი	ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი	
ტელევიზორი	1,500.00 ლარი	-
კომპიუტერი	1,500.00 ლარი	-
ლექტოპი	1,500.00 ლარი	-
აუდიო ტექნიკა	1,500.00 ლარი	-
ფოტოაპარატი	1,500.00 ლარი	-
სამეული	3,000.00 ლარი	-
სკამები	1,500.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 200 ლარი
კარადა	3,000.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 1500 ლარი
სამზარეულოს კარადა	2,500.00 ლარი	-
წიგნების თაროები	800.00 ლარი	-
მაგიდა	1,000.00 ლარი	-
სავარძელი, დივანი	1,000.00 ლარი	-
საწოლი	1,500.00 ლარი	-
გაზქურა/ გამწოვი	2,000.00 ლარი	-
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	1,500.00 ლარი	-
მაცივარი	1,500.00 ლარი	-
სარეცხი მანქანა	1,000.00 ლარი	-
სამზახვე	1,000.00 ლარი	-
ხალიჩები და ფარდები	2,000.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ჭაღები და განათების სისტემები	1,500.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
გათბობის მოწყობილობები (ქვაბი და რადიატორები)	3,000.00 ლარი	ერთ რადიატორზე არაუმეტეს 500 ლარი
კონდიციონერი	1,500.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
სარკე	1,000.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
მიქსერები/ ბლენდერები/ მიკროტალღური ღუმელები/ ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები/ ყავის აპარატები	2,000.00 ლარი	ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
მტვერსასრუტი	600.00 ლარი	-

29 სექტემბერი, 2023 წელი

გენერალური დირექტორი:

ირაკლი თუთარაშვილი





ქონების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები

#PROP-NVI-R-20/08-20

ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა და მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

შეთავაზება - საინფორმაციო ფურცელი

ქონების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები N PROP-NVI-R-20/08-20
ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა და მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

შეთავაზება - საინფორმაციო ფურცელი

1. მზღვეველი - სს “ნიუ ვიქსი დაზღვევა”;

2. დაზღვევის ხელშეკრულების სახე – ქონების (ბინების შიდა მოპირკეთების) დაზღვევა და მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;

3. დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები: დაზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ დაზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ქონება: საცხოვრებელი ბინის შიდა მოპირკეთება, შიდა საინჟინრო მოწყობილობები, ინვენტარი, საოჯახო ნივთები და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები (შიგთავსი), რომელიც განთავსებულია სადაზღვევო პოლისში და ქონების (ბინის რემონტის) დაზღვევის განაცხადში მითითებულ მისამართზე და განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N 1-ით დაზღვეული იქნება შემდეგი სადაზღვევო რისკებისგან (სადაზღვევო დაფარვები):

3.1. A ჯგუფი - ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, კვამლით დაზიანება:

- ხანძარი – ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლის გასაჩაღებლად და შესანარჩუნებლად განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს. ხანძარი ასევე ფარავს ელექტრო გაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლით წარმოქმნილი ცეცხლით მიყენებულ ზიანს.
- აფეთქება - საყოფაცხოვრებო საინჟინრო სისტემიდან აირის გამოჟონვით ან სისტემაში გაზის წნევის მომატების შედეგად.
- მეხის დაცემა - გიგანტური ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი და რომელსაც მოყვება უშუალოდ დაზღვევის საგნის ფიზიკური დაზიანება-განადგურება.
- კვამლით დაზიანება - ხანძრის შედეგად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.

3.2. B ჯგუფი - სტიქიური მოვლენები

- შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი - ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 20 მ/წ აღემატება და იწვევს შენობა-ნაგებობათა დაზიანებას ან ნგრევას.
- წვიმა - ნალექის მოცულობა აღემატება 10 სმ/24სთ.
- სეტყვა - ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის სფერული ნაწილაკების, ან ნატეხებისაგან.
- მიწისძვრა - ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის რხევა, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიაღება ზიანი და რომლის სიძლიერე მეტია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის შკალით.

3.3. C ჯგუფი - წყლით დაზიანება, დატბორვა – დაზღვეული ობიექტის დაზიანება საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობის, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების, მილების (მათ შორის ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მილების ჩათვლით) უეცრად და მოულოდნელად მწყობრიდან გამოსვლით.

3.4. D ჯგუფი - მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედება

- ქურდობა ან მისი მცდელობა - სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაზღვევა ფარავს დაზღვეულ პენობა-ნაგებობაში მხოლოდ ძალადობით და ძალისმიერი მეთოდებით შეღწევას, როდესაც შესვლის ადგილზე არსებობს ამგვარი, აშკარა ნიშნები და ამ ქმედების შემდეგ დაკარგულია ან დაზიანებულია დაზღვეული ობიექტები.
- ძარცვა - სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.
- ყაჩაღობა - თავდასხმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.
- ვანდალიზმი - სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება;

3.5. თუ პოლისში მითითებულია, დაფარვა შეიძლება გავრცელდეს იჯარით/ქირავნობით გაცემულ ქონებაზე

- დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების ზემოთ მითითებული რისკებისაგან დაზიანება მისი დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად.

შენიშვნა: წინამდებარე პირობით დაზღვევა არ მოიცავს და შესაბამისად არ იფარება თავად დამქირავებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი.

3.6. კონკრეტულ რისკზე მითითება მოხდება სადაზღვევო პოლისში;

დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული დაზღვეული საცხოვრებელი ბინის არაგანზრახი, არასათანადო ან დაუდევარი ექსპლუატაციის / განკარგვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით მიყენებული მატერიალური ზიანი. წინამდებარე დაზღვევა ფარავს მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებულ ზიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ქონებრივი ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებში;
- ქონებრივ ზიანს ადგილი ჰქონდა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
- მზღვეველისთვის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ამასთან თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა სადაზღვევო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, დამზღვევს ეძლევა დამატებითი 24 საათიანი ვადა შესაბამისი შეტყობინებისგაკეთების მიზნით.

შენიშვნა: მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში და წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული რისკები დაფარულია მხოლოდ მაშინ, თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი სადაზღვევო პოლისით.

4. პრემიის გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის პირობები, ოდენობა და წესი - სხვა ფინანსური ხარჯი არ არის გათვალისწინებული;

5. ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები - ფრანშიზა არის თანხა, რომელიც არ ანაზღაურდება მზღვეველის მიერ და აკლდება ზარალის თანხას; ფრანშიზა არის უპირობო, ანუ ყოველი ზარალი ანაზღაურდება პოლისში მითითებული ფრანშიზის თანხის გამოკლებით თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე.

6. დაზღვევის გამონაკლისი პირობები (შემთხვევები, რაც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით):

6.1. ქონების (ბინების შიდა მოპირკეთების) დაზღვევის გამონაკლისები:

სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება დაზღვეული ქონების ზიანი (ზარალი) ან განადგურება დაკავშირებული შემდეგ გარემოებებთან:

- ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა საომარი მდგომარეობა), სამოქალაქო მღელვარება, ამბოხები, შეიარაღებული კონფლიქტი, გაფიცვა, სამხედრო გადატრიალება, რევოლუცია, ტერორისტული აქტი, პოლიტიკური მოტივით მოქმედი ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებები;
- ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, ნაციონალიზაცია, დაპატიმრება/დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება, ჩამორთმევა ან დაზიანება;
- სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა;
- გარემოს დაბინძურება, იონიზირებული რადიაცია, თერმობირთვული საწვავის ან ნებისმიერი ბირთვული ნარჩენებით განპირობებული ზიანი, რადიოაქტიური დაბინძურება;
- ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვევის ტერიტორია აღიარებული იქნა შესაძლო სტიქიური უბედურების ზონად;
- ბგერითი ან ზებგერითი სიჩქარით მოძრავი თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ წარმოქმნილი წნევისტალღებით;
- დამზღვევის/მოსარგებლის/მოიჯარის/დამქირავებლის, მათი ოჯახის წევრის, პირველი / მეორე რიგის მემკვიდრეთა წრით განსაზღვრული პირის (ნათესავის), დაზღვეულ ფართში ფაქტიურად მცხოვრები პირის, მასთან დროებით დასაქმებული ან დაზღვეულ ქონებაში სადაზღვევო ინტერესის მქონე პირის მიერ ან მისი/მათი ნებისმიერი ქმედების (მათ შორის განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების) ქმედების შედეგად გამოწვეულიზარალი;
- დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის დასაზღვევი ქონების შესახებ მცდარი/არასწორი ინფორმაციის მიწოდება;
- ნებისმიერი ზარალი, გამოწვეული ქონების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე დატოვებით, თუ ასეთი წინასწარ, წერილობით არ არის შეთანხმებული მზღვეველთან;
- ზიანი, რომელიც მიადგა ღია ცის ქვეშ დატოვებულ ქონებას ან ზიანის დადგომის მომენტისათვის უკვე დაზიანებულ და/ან დაშლილ შენობაში მყოფ ინვენტარს, საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთებს;
- ღპობა, ამორტიზაცია, ცვეთა, თვითააღება, კოროზია, ეროზია, დანესტიანება, ნალექების დაგროვება, დაჟანგვა ან დაზღვეული ქონების სხვა ბუნებრივი თვისებები;
- შინაური ცხოველების/ფრინველების, ქვეწარმავლების, მწერების, მღრღნელების ან სხვა მავნებლების მიერ მიყენებულიზიანი;
- სადრენაჟე სისტემების არასწორიგამოყენება;
- დარღვეულია შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების (მზიდი კონსტრუქციები, სახურავი, კედლები, ტიხრები, აივნები) მთლიანობა;
- გრუნტის, ფუნდამენტის, კონსტრუქციული ან საინჟინრო ელემენტების დაჯდომა, გაფართოვება, შევიწროვება, რყევა;
- მდინარის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიის, ასევე გრუნტის ხელოვნური დაწევა ან მოძრაობა;
- ზიანი ან განადგურება, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, რეკონსტრუქციის, ტექნიკური მომსახურების ან სხვა მსგავსი სამუშაოების

შედეგად;

- სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე დაფიქსირებული მოვლენით გამოწვეული ზიანი;
- ზიანი, რომელიც გამოწვეულია მშენებლობის საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით, ცუდი კონსტრუქციით, უხარისხო მასალებით ან მუშახელით, შეუსაბამო ან/და არასწორი დიზაინით ან/და პროექტირებით, სტრუქტურის ცვლილებებით ან შეკეთებით, ასევე საძირკველის სამშენებლო სამუშაოებით ან გათხრებით;
- დაზიანებული ქონების გაუმჯობესების ხარჯები;
- დაზღვეული ქონების გასხვისებისას იმ შემთხვევაში, თუ გასხვისების შესახებ მზღვეველს არ მიუღია ამის შესახებ შეტყობინება გასხვისებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;
- ნებისმიერი არამატერიალური და არაქონებრივი ზიანი;
- ზიანი, რომელიც გამოწვეულია პოლისით გათვალისწინებული რისკების გარდა სხვა რისკებით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- ნებისმიერი არაპირდაპირი ზიანი გამოწვეული დაზღვეული რისკების შედეგად;

6.2. მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამონაკლისები:

წინამდებარე პირობებით გამონაკლისის წარმოადგენს და არცერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება:

- იმ ქონების დაზიანება ან განადგურება რომელიც იჯარით არის აღებული ან იმყოფება დამზღვევის/დაზღვეულის/მესაკუთრის ან მათი ნათესავების კონტროლის ქვეშ ან მფლობელობაში;
- მიბარებული ქონებისათვის მიყენებული ზარალი;
- იმ პირის პირად საკუთრებაში არსებული ქონებისათვის მიყენებული ზიანი, რომელსაც სარგებლობის უფლებით აქვს აღებული დაზღვევის ტერიტორია;
- პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებულია რაიმე ხელშეკრულების შესაბამისად ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქციების სახით;
- მესამე პირის სიცოცხლის და ჯანმრთელობის მიმართ მიყენებული ზიანი;

მიუღებელი შემოსავალი;

- მესამე პირის მიმართ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მიყენებული ზიანი. განზრახ ქმედებად ჩაითვლება ასევე დამზღვევის უმოქმედობა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზარალი /ზიანის მიყენება დიდი ალბათობით მოსალოდნელია და დამზღვევმა არ მიიღო შესაბამისი ზომები ასეთი ზიანის თავიდან ასაცილებლად.
- ნებისმიერი პრეტენზია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის მიერ საცხოვრებლის ექსპლუატაციის ნორმების დარღვევით;
- დაზიანება გამოწვეულია პირველადი დაზიანების დროულად აღმოუფხვრელობის შედეგად;

შენიშვნა: ამ პირობებზე სრულად ვრცელდება 6.1 პუნქტით გამონაკლისები, გარდა დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებულ ბინაში რემონტის ჩატარების შედეგად მესამე პირების ქონების დაზიანებისა. ამ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი ნორმები.

7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა დავადები:

7.1. ქონების (ბინების შიდა მოპირკეთების) დაზღვევისას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევი ვალდებულია:

7.1.1. შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, დაუკავშირდეს მზღვეველს **24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელხაზზე 032 2 501 501** და შეატყობინოს შემთხვევის ან ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ რამაც შეიძლება

გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა და მიაწოდოს სრული ინფორმაცია; ასევე, ზუსტად დაიცვას მზღვეველის რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით. 7.1.2. შემთხვევის აღმოჩენისთანავე, დამზღვევმა უნდა შეატყობინოს:

- აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;
- ქურდობის, ძარცვის შემთხვევაში - შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
- წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის ან სხვა შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას;

7.1.3. მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების განაცხადი, არაუგვიანეს შემთხვევის შესახებ ინფორმაციის ცხელ ხაზზე განცხადებიდან 72 საათის განმავლობაში. განაცხადში მითითებული უნდა იყოს წარმომოხილი ზარალის ყველა გარემოება და მიზეზი, დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას

არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

7.1.4. შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარუდგინოს მზღვეველს ზიანის გასაზღვრისათვის და ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა. დამზღვევის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:

- საკუთრების უფლების, სარგებლობის უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი განადგურებულ, ან დაზიანებულ ქონებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტი;
- დაზიანებული ქონების აღწერილობა და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის დღისმდგომარეობით.
- კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტი დამიზეზები:
 - ☐ აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემისას - სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოების დასკვნა;
 - ☐ წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის დროს - შესაბამისი კომპეტენტური უწყების დასკვნა;
 - ☐ სტიქიური მოვლენებისას - გარემოს ეროვნული სააგენტოს ან მისი უფლებამონაცვლე უწყების მიერ გაცემული ცნობა;
 - ☐ ზარალის გამომწვევი გარემოებების გამოძიებაში სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას ცნობა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიდან სამართლებრივი ძიების მიმდინარეობის შესახებ;
- კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან შემთხვევის დადგომის ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

7.2. შესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დამატებითი პირობის მოქმედების შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევი ვალდებულია:

7.2.1. დაუყოვნებლივ, შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, დაუკავშირდეს მზღვეველს **24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელხაზზე 032 2 501 501** და შეატყობინოს შემთხვევის ან ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ რამაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა და მიაწოდოს სრული ინფორმაცია; ასევე,

ზუსტად დაიცვას მზღვევლის რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით.

7.2.2. შემთხვევის აღმოჩენისთანავე, დამზღვევმა უნდა შეატყობინოს:

- აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;
- წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის ან სხვა შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას;

7.2.3. შეატყობინოს მზღვეველს მესამე პირის დაზიანებული ქონების ექსპერტიზის ჩატარების დრო და ზარალის განსაზღვრის მიზნით მისცეს საშუალება ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა;

7.2.4. საჭიროების შემთხვევაში მისცეს მზღვევლის წარმომადგენელს უფლება აწარმოოს მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან;

7.2.5. არ აღიაროს ბრალეულობა და არ აიღოს საკუთარ თავზე ზარალის ანაზღაურების ვალდებულება;

7.3. დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების განაცხადი, დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენებიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში და ამასთან არაუგვიანეს მესამე პირისათვის ზიანის მიყენებიდან 1 (ერთი) თვისა. განაცხადში მითითებული უნდა იყოს წარმომობილი ზარალის ყველა გარემოება და მიზეზი. დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. დამზღვევი ვალდებულია შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 1 (თვისა) კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების განაცხადი, დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ შეტყობინების ჩათვლით;
- დაზარალებული მესამე პირის მიერ მზღვეველთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობით განაცხადი (წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე).
- დაზარალებული მესამე პირების, მოსარგებლის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, პირადობის მოწმობის და საკუთრების უფლების ჩათვლით;
- უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ (შსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტოს, სახანძრო სამსახური ან მათი უფლებამოსილებით უწყებები) გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები;
- საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- თუ მოსარგებლის გარდაცვალების გამო, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა) და რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილსამკვიდრებლის სამკვიდროში;
- იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრესა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მესაკუთრე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების

გარეშე ან მის მიმართ სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

- კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად და მიყენებული ზიანის დასაანგარიშებლად.

7.4. სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები ქონების (ბინების შიდა მოპირკეთება) დაზღვევის შემთხვევაში:

7.4.1. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა შეესაბამება დაზიანებული/განადგურებული ქონების რემონტის აღდგენით ღირებულებას სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებულ ფასებზე დაყრდნობით, ფრანშიზის გამოკლებით. ინვენტარი, საოჯახო ნივთებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანების შემთხვევაში მზღვეველი დაეყრდნობა წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N 1 მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, თუმცა ანაზღაურებას არ დაექვემდებარება დაზიანებული საგნების საბაზრო ღირებულებაზე და პოლისში მითითებულ ლიმიტზე მეტი თანხა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის.

7.4.2. ზარალის თანხის დადგენა ხდება მზღვეველის მიერ, დაზღვეული ობიექტის დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე (პოლიციის, სახანძრო დეპარტამენტის, საავარიო სამსახურების, გარემოს ეროვნული სააგენტოს, ექსპერტების, საგამოძიებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა.).

7.4.3. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ზარალის ოდენობის დადგენა შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ამ შემთხვევაში, ექსპერტის მომსახურების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს მისი მომწვევი მხარე.

7.4.4. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საფუძველია:

- ქონების განადგურების შემთხვევაში – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის მისი აღდგენითი/შენაცვლებითი ღირებულება, ფრანშიზის, მასალების ცვეთის, დარჩენილი დეტალების ღირებულების და ტექნიკური მდგომარეობის და სპეციფიკის გათვალისწინებით, არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა (ლიმიტისა);
- ქონების დაზიანების შემთხვევაში - ქონების დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, ფრანშიზის გათვალისწინებით, არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა (ლიმიტისა), რაც გულისხმობს:

ა) შეკეთების/აღდგენისათვის აუცილებელი მასალების რეალურ ღირებულებას; ბ) შესაკეთებლად/აღსადგენად გასაწევი სამუშაოების ხარჯებს;

გ) სხვა ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად.

- ✓ ქონების შეკეთების/აღდგენის ხარჯებში არ ჩაითვლება: ა) ქონების საგარანტიო მომსახურების ღირებულება;
- ბ) ქონების რეკონსტრუქციის, რემონტის (თუ რემონტის აუცილებლობა გამოწვეული არ არის სადაზღვევო შემთხვევით) ხარჯები;
- გ) ქონების გაუმჯობესებაზე ან მისი მახასიათებლების ცვლილებაზე გაწეული დამატებითი ხარჯები.

7.4.5. იმ შემთხვევაში თუ, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამზღვევი იძულებულია დატოვოს დაზღვეული საცხოვრებელი ფართი და იქირაოს ბინა, მზღვეველი აანაზღაურებს ბინის ქირის ხარჯს არაუმეტეს 40 (ორმოცი) ლარისა დღეში, დაზღვეულ ბინაში საცხოვრებლად ვარგისი პირობების აღდგენამდე, არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.4.6. ქონების შენაცვლებითი ღირებულება გულისხმობს - ანალოგიური ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებას ქონების ასაკის, ცვეთისა და ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც დადგინდება სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების თარიღის

შესაბამისად, მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება სრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში არცერთ შემთხვევაში არ გადააჭარბებს შიგთავსის დაზღვევისთვის პოლისით დადგენილ ანაზღაურების მაქსიმალურ (ჯამურ) ლიმიტს.

7.4.7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია მზღვეველის მიერ შედგენილი ზარალის ანაზღაურების აქტი. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველი იღებს ვალდებულებას შეადგინოს ზარალის ანაზღაურების აქტი ან გასცეს მოტივირებული წერილობითი უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ყველაუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4.8. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება მზღვეველის და დამზღვევის მიერ ზარალის ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

7.4.9. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერ ძალაში შესვლამდე.

7.5. სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დამატებითი პირობის მოქმედების შემთხვევაში:

7.5.1. მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის გამოთვლა ხდება მესამე პირების ქონებისათვის მიყენებული ზიანის თანხის ოდენობით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით, იმ პრინციპებით რაც გამოიყენება დამზღვევის ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის
ან

რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრება დამზღვევს მესამე პირისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანისთვის სადაზღვევო თანხის ფარგლებში ფრანშიზის გათვალისწინებით და რომელიც არ წარმოადგენს გამონაკლისს წინამდებარე პირობების შესაბამისად;

7.5.2. მესამე პირებისათვის ასანაზღაურებელი ზიანის ჯამური ოდენობა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება წინამდებარე პირობებით და პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას/ლიმიტს.

7.5.3. მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს დამდგარი ზარალი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი საბუთებით და შემთხვევის გარემოებებით ცალსახად დადგენილია დამზღვევის/დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის. ამასთან მხარეთა შეთანხმებით ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა წერილობით შეთანხმებულია მზღვეველთან და დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევს/დაზღვეულს/მესაკუთრესა და მესამე პირს შორის ზიანთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, მაშინ მზღვეველი გადავადებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერ ძალაში შესვლამდე.

7.5.4. მზღვეველი თავისუფლდება ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი მზღვეველთან შეთანხმების გარეშე აღიარებს ან აანაზღაურებს ზარალს (მათ შორის სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე).

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი - შეთავაზება წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ; დამზღვევის მიერ საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მზღვეველის მიერ მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს მხარეთა შორის არანაირ სამართლებრივ შედეგს და მოთხოვნებს მხარეთა შორის



დანართი #2

**მესამე პირების მიმართ სამოქალაქო
პასუხისმგებლობის დაზღვევის დამატებითი პირობა**

მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დამატებითი პირობა

წინამდებარე პირობები წარმოადგენს **ქონების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები** (ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა) N **PROP-NVI-R-20/08-20**-ის დანართს და განიხილება ერთობლიობაში.

წინამდებარე პირობებით დაზღვევა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია შესაბამისი პოლისით.

ქონების დაზღვევის პირობების დებულებებსა და ამ პირობებს შორის რაიმე უთანხმოების შემთხვევაში, გამოიყენება ამ პირობებით განსაზღვრული დებულებები.

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. **დაზღვეული** - თუ მხარეების მიერ ქონების დაზღვევის ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის დადგენილი, დაზღვეულად ჩაითვლება (შემდგომში "დაზღვეული პირები") დამზღვევი და მისი ოჯახის წევრები, ან მდგმურები, რომლებიც ცხოვრობენ დაზღვეულ ქონებაში. ამასთან დაზღვეული ვალდებულია დაადასტუროს, რომ არსებობს მასზე დაკისრებული მესამე პირის ქონების მიმართ ზიანის მიყენების პასუხისმგებლობის საფუძველი დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის დროს.
- 1.2. **მესამე პირი** - პირი, რომლის ქონებას მიაღმა ზიანი ამ პირობით გათვალისწინებული რისკის განხორციელების შედეგად გარდა:
 - დამზღვევის / დაზღვეულის/მესაკუთრის / მოსარგებლის, და მათი ოჯახის წევრებისა (დედა, მამა, მეუღლე, და, ძმა, შვილი, გერი, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, შვილთაშვილი, დაზღვეულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი);
 - მდგმურებისა (მდგმურად ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც დაზღვეულ ბინაში ცხოვრობს დროებით, მიუხედავად იმისა დამზღვევს უხდის თუ არა რაიმე სახის საფასურს);
 - ფიზიკური პირებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან დაზღვეულ ბინაში დაცვის, დასუფთავების, სარემონტო სამუშაოების ჩატარების ან სხვა მომსახურების გაწევის მიზნით.
- 1.3. **დაზღვევის პერიოდი** - პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ძალაშია დაზღვევა, რომლის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას.
- 1.4. **სადაზღვევო თანხა / პასუხისმგებლობის ლიმიტი** - პოლისით გათვალისწინებული შესაბამისი თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყველა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მზღვეველის მიერ ჯამურად გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურების თანხას და რომელიც მითითებულია პოლისში.
- 1.5. **მომატებული რისკი** - დამზღვევის მიერ დაზღვეულ ბინასთან მიმართებაში ჩვეულებრივი სიფრთხილის ზომების მიუღებლობა.
- 1.6. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით;
- 1.7. **ხანძარი** - ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლის გასაჩაღებლად და შესანარჩუნებლად განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს.
- 1.8. **აფეთქება** - საყოფაცხოვრებო საინჟინრო სისტემიდან აირის გამოჟონვით ან სისტემაში გაზის წნევის მომატების შედეგად;
- 1.9. **წყლით დაზიანება, დატბორვა** - საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობის, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების, მილების (მათ შორის ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მილების ჩათვლით) უეცრად და მოულოდნელად (ავარიულად) მწყობრიდან გამოსვლით, გასკდომით ან გაჟონვით; ხანძრის ჩასაქრობად სახანძრო წყლის გამოყენებით.

2. დაზღვევის ობიექტი

2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის/დაზღვეულის კანონიერ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული დაზღვეული საცხოვრებელი ბინის არაგანზრახი, არასათანადო ან დაუდევარი ექსპლუატაციის / განკარგვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით მიყენებული მატერიალური ზიანის გამო დამდგარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

3. სადაზღვევო რისკი

3.1. დამზღვევის/დაზღვეულის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული დაზღვეული საცხოვრებელი ბინის არაგანზრახი, არასათანადო ან დაუდევარი ექსპლუატაციის / განკარგვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით მიყენებული მატერიალური ზიანი.

3.2. წინამდებარე დაზღვევა ფარავს მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებულ ზიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ქონებრივი ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებში;
- ქონებრივ ზიანს ადგილი ჰქონდა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
- მზღვევლისთვის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, ამასთან თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა სადაზღვევო პერიოდის ბოლო კალენდარულ დღეს, დამზღვევს ეძლევა დამატებითი 24 საათიანი ვადა შესაბამისი შეტყობინების გაკეთების მიზნით.

4. გამონაკლისები დაფარვიდან

4.1. წინამდებარე პირობებით გამონაკლისს წარმოადგენს დაარცერთ შემთხვევაში არანაზღაურდება:

- 4.1.1. იმ ქონების დაზიანება ან განადგურება რომელიც იჯარით არის აღებული ან იმყოფება დამზღვევის/დაზღვეულის/მესაკუთრის ან მათი ნათესავების კონტროლის ქვეშ ან მფლობელობაში;
 - 4.1.2. მიბარებული ქონებისათვის მიყენებული ზარალი;
 - 4.1.3. იმ პირის პირად საკუთრებაში არსებული ქონებისათვის მიყენებული ზიანი, რომელსაც სარგებლობის უფლებით აქვს აღებული დაზღვევის ტერიტორია;
 - 4.1.4. პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებულია რაიმე ხელშეკრულების შესაბამისად ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქციების სახით;
 - 4.1.5. მესამე პირის სიცოცხლის და ჯანმრთელობის მიმართ მიყენებული ზიანი;
 - 4.1.6. მიუღებელი შემოსავალი;
 - 4.1.7. მესამე პირის მიმართ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მიყენებული ზიანი. განზრახ ქმედებად ჩაითვლება ასევე დამზღვევის უმოქმედობა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზარალი /ზიანის მიყენება დიდი ალბათობით მოსალოდნელია და დამზღვევმა არ მიიღო შესაბამისი ზომები ასეთი ზიანის თავიდან ასაცილებლად.
 - 4.1.8. ნებისმიერი პრეტენზია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის მიერ საცხოვრებლის ექსპლუატაციის ნორმების დარღვევით;
 - 4.1.9. დაზიანება გამოწვეულია პირველადი დაზიანების დროულად აღმოუფხვრელობის შედეგად;
 - 4.1.10. ამ პირობით გათვალისწინებული გარდა სხვა რისკებით.
- 4.2. ანაზღაურებას არ ექვემდებარება წინამდებარე დანართით განსაზღვრული რისკების გარდა სხვა რისკებით გამოწვეული შემთხვევა.
- 4.3. ამ პირობებზე სრულად ვრცელდება ქონების დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებაში/პირობებში ჩამოთვლილი გამონაკლისები, გარდა დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებულ ბინაში რემონტის ჩატარების შედეგად მესამე პირების ქონების დაზიანებისა. ამ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი ნორმები.

5. სადაზღვევო თანხა, პასუხისმგებლობის ლიმიტი

5.1. დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელსაც მზღვეველი აანაზღაურებს ჯამურად სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ამ პირობებით განსაზღვრული რისკებისათვის.

5.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი

სადაზღვევო ანაზღაურების თანხის შესაბამისად.

6. მხარეთა ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დროს

- 6.1. დამზღვევი ვალდებულია შემთხვევის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში, დაუკავშირდეს მზღვეველს **24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე 032 2 501 501** და შეატყობინოს შემთხვევის დადგომის ან ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ რამაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა და მიაწოდოს სრული ინფორმაცია; ასევე, ზუსტად დაიცვას მზღვეველის რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით.
- 6.2. შემთხვევის აღმოჩენისთანავე, დამზღვევმა უნდა შეატყობინოს:
 - აფეთქების, ხანძრის ან მეხის დაცემის შემთხვევაში - შესაბამის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოებს;
 - წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ელექტრო-გაყვანილობისა და გაზგაყვანილობის სისტემების ავარიის ან სხვა შემთხვევაში - შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას;
- 6.3. დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, დაზღვეული ქონების გადასარჩენად, ზიანის შესამცირებლად. შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის მიერ გასაღები ყველა ხარჯი წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული მზღვეველთან წერილობითი სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს ასეთი ხარჯების ანაზღაურებაზე.
- 6.4. დამზღვევი ვალდებულია შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა შემთხვევის შემდგომ; თუ აღნიშნული ქმედება მიმართული არ არის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ზარალის შესამცირებლად (ასეთი ქმედება შეთანხმებული უნდა იყოს მზღვეველთან);
- 6.5. მიიღოს ყველა ზომა, რომ დაზარალებულმა მხარემ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს;
- 6.6. შეატყობინოს მზღვეველს მესამე პირის დაზიანებული ქონების ექსპერტიზის ჩატარების დრო და ზარალის განსაზღვრის მიზნით მისცეს საშუალება ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა;
- 6.7. საჭიროების შემთხვევაში მისცეს მზღვეველის წარმომადგენელს უფლება აწარმოოს მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან;
- 6.8. არ აღიაროს ბრალეულობა და არ აიღოს საკუთარ თავზე ზარალის ანაზღაურების ვალდებულება;
- 6.9. დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების განაცხადი, დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენებიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში და ამასთან არაუგვიანეს მესამე პირისათვის ზიანის მიყენებიდან 1 (ერთი) თვისა. განაცხადში მითითებული უნდა იყოს წარმომადგენელი ზარალის ყველა გარემოება და მიზეზი. დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
- 6.10. დამზღვევი ვალდებულია, შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარუდგინოს მზღვეველს ზიანის გასაზღვრისათვის და ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა.
- 6.11. დამზღვევის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:
 - დაზარალებული მესამე პირის მიერ მზღვეველთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობით განაცხადი (წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე).
 - დაზარალებული მესამე პირების, მოსარგებლის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, პირადობის მოწმობის და საკუთრების უფლების ჩათვლით;
 - უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ (შსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტოს, სახანძრო სამსახური ან

მათი უფლებამონაცვლე უწყებების) გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები;

- თუ მოსარგებლის გარდაცვალების გამო, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების

უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა) და რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;

- იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევს და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით - ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე ან მის მიმართ სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას
- კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად და მიყენებული ზიანის დასაანგარიშებლად.

6.12. მზღვეველი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამზღვევის/დაზღვეულის/მესაკუთრის ინტერესები სასამართლო დავის დროს, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით.

7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები

7.1. მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის გამოთვლა ხდება მესამე პირების ქონებისათვის მიყენებული ზიანის თანხის ოდენობით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით, იმ პრინციპებით რაც გამოიყენება დამზღვევის ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის.

ან

რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრება დამზღვევს მესამე პირისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანისთვის სადაზღვევო თანხის ფარგლებში ფრანშიზის გათვალისწინებით და რომელიც არ წარმოადგენს გამონაკლისს წინამდებარე პირობების შესაბამისად;

7.2. მესამე პირებისათვის ასანაზღაურებელი ზიანის ჯამური ოდენობა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება წინამდებარე პირობებით და პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას/ლიმიტს.

7.3. მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს დამდგარი ზარალი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი საბუთებით და შემთხვევის გარემოებებით ცალსახად დადგენილია დამზღვევის/დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის. ამასთან მხარეთა შეთანხმებით ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა წერილობით შეთანხმებულია მზღვეველთან და დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევის/დაზღვეულის/მესაკუთრესა და მესამე პირს შორის ზიანთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, მაშინ მზღვეველი გადავადებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერ ძალაში შესვლამდე.

7.4. ერთი შემთხვევით გამოწვეული ზიანი განხილული იქნება ერთ შემთხვევად, არავის აქვს უფლება ორჯერ მიიღოს ანაზღაურება ერთი და იმავე ზიანისათვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის.

7.5. მზღვეველი თავისუფლდება ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი მზღვეველთან შეთანხმების გარეშე აღიარებს ან ანაზღაურებს ზარალს (მათ შორის სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე).

დაზღვევის ყველა სხვა პირობაზე მოქმედებს ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით/პირობებით

გათვალისწინებული წესები.


წინამდებარე პირობებზე თანხმობის განცხადებამდე დამზღვევი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე მზღვეველის მიერ გაგზავნილ მისამართზე განთავსებულ წინამდებარე პირობებს.

წინამდებარე პირობები მოქმედებს მხოლოდ ქონების დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება/პირობებთან (ბინების შიდა მოპირკეთების დაზღვევა) დამზღვევის მიერ შევსებულ განაცხადთან და შესაბამის სადაზღვევო პოლის(ებ)თან ერთად.

29 სექტემბერი, 2023 წელი

გენერალური დირექტორი:

ირაკლი თუთარაშვილი



სავალდებულოა, შეავსოთ *-ით მონიშნული ველები

განცხადება

დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ

*დაზღვევი/განმცხადებელი _____

*მისამართი _____

*დაზღვევის პოლისის ნომერი _____

*დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი _____

დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი _____

წინამდებარე განცხადების შევსებით ვადასტურებ, რომ უარს ვამბობ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, შესაბამისად ვაუქმებ წინამდებარე განცხადებაში მითითებულ დაზღვევის პოლისს და ვაცხადებ თანხმობას, აღნიშნული პოლისით მიღებული სარგებელი/მიღებული ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დავუბრუნო მზღვეველს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

განცხადების შედგენის თარიღი _____

განმცხადებელი _____
(ხელმოწერა)